შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი 24 იანვარი 2022 წ.

ბრძანება № 06-22

2021 – 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილების, ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.3 ქვეპუნქტით, რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2021 წლის 05 აპრილის #03-21 საოქმო გადაწყვეტილებით), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ №10/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის დებულების“ 23-ე პუნქტის *(დებულება განახლებული რედაქცით დამტკიცებული რექტორის 2021 წლის 16 ივლისის N121-21 ბრძანებით),* ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის თ.მიქაბერიძის (#05; 21.01.22); სამართლის ფაკულტეტის დეკანის გ.გორაძის (#04; 20.01.22); ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის გ.ბარნოვის (#03; 18.01.22) შუამდგომლობების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე შიდა მობილობით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილები შემდეგი სახით:

№	საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვაკანტური ადგილების რაოდენობა
1	ბაკალავრიატი	ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა	3

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი | 204426834
0186, კ.ძუთათელაძის ქ.N3, თბილისი საქართველო
ტელ: +995 32 2422242
info@sabauni.edu.ge
www.sabauni.edu.ge

2	ბაკალავრიატი	ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა	3
3	ბაკალავრიატი	სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა	5
4	ბაკალავრიატი	ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	5
5	ბაკალავრიატი	სოციალოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	2
6	ბაკალავრიატი	საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა	3
7	ბაკალავრიატი	პოლიტიკის მეცნიერების საგანმანათლებლო პროგრამა	2
8	ბაკალავრიატი	თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	2
9	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა	2
10	მაგისტრატურა	თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	1

2. განისაზღვროს 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ვადები შემდეგი სახით:
   2.1. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირების საბუთების მიღება და კრედიტების აღიარება 2022 წლის 09 თებერვლიდან - 14 თებერვლის ჩათვლით.
   2.2. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა და ხელშეკრულების დადება - 2022 წლის 15-16 თებერვალი.
   2.3. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის მიწოდება - 2022 წლის 18 თებერვალი.
3. შიდა მობილობის პროცესში (ჩარიცხვამდე) წარმოსადგენ დოკუმენტაციად განისაზღვროს:
   ა) განცხადება მიმღები ფაკულტეტის დეკანის სახელზე;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) ასლი დედნის წარმოდგენით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის /პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
   გ) სტუდენტის სასწავლო ბარათი;

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, ამ ბრძანების 2.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაო დღეებში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 17-მდე, მისამართზე კ. ქუთათელაძის ქ. #3 ან ქვეყანაში არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტაზე - info@sabauni.edu.ge.
5. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა (ც.ხითარიშვილი).
6. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი ვაჟა ვარდიძე

SULKHAN-SABA ORBELIANI UNIVERSITY LLC * GEORGIA * 204426834 *